

939 / 2

საქართველოს
საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკის

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს
უწყებები

585
31935/2

№ 1 (3)

ივლისი

1939 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

III. საქართველოს ხსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი

ბრძანებულება მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ათ წლისთავთან დაკავშირებით ამავე თეატრის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ.

ბრძანებულება თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანული დრამატული თეატრისათვის მირზა ფატალი ახუნდოვის სახელის მიკუთვნების შესახებ.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მოწვევის შესახებ.

ბრძანებულება ბათუმის ნავთსახდელი ქარხნისათვის ი. ბ. სტალინის სახელის მიკუთვნების შესახებ.

ბრძანებულება ტყვარჩელის რაიონული თბელექტროსადგურისათვის ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

ბრძანებულება წალენჯიხის რაიონის სოფელ ფუქისათვის მიქავას სახელის მიკუთვნების შესახებ.

ბრძანებულება ზესტაფონის რაიონში ალავერდის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

ბრძანებულება ახალქალაქის რაიონში მერენიის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

ბრძანებულება დღუშეთის რაიონში ჭართალის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

ბრძანებულება აჭარის ასსრ ხულოს რაიონში შუახევის სასოფლო საბჭოდან სოფელ წანკალაურის გამოყოფისა და ბართაულის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოების წესის შესახებ.

ბრძანებულება ქ. თბილისში მოლოტოვის სახელობის რაიონის შექმნის შესახებ.

ბრძანებულება ქ. თბილისში ბერიას სახელობის რაიონის შექმნის შესახებ.

ბრძანებულება ქუთაისის რაიონიდან ქალაქ ქუთაისის გამოყოფის შესახებ.

ბრძანებულება ქუთაისის რაიონის ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონებად გაყოფის შესახებ.

ბრძანებულება კიათურის რაიონის კიათურისა და საჩხერის რაიონებად გაყოფის შესახებ.

ბრძანებულება ხაშურის რაიონის ხაშურისა და ქარელის რაიონებად გაყოფის შესახებ.

ბრძანებულება თბილისის რაიონის თბილისისა და მცხეთის რაიონებად გაყოფის შესახებ.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგანიზაციის შექმნის შესახებ ქ. თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონში.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგკომიტეტის შექმნის შესახებ ქ. თბილისის ბერძანთ სახელობის რაიონში.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგკომიტეტის შექმნის შესახებ ქუთაისის რაიონში.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგკომიტეტის შექმნის შესახებ წყალტუბოს რაიონში.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგკომიტეტის შექმნის შესახებ საჩხერის რაიონში.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგკომიტეტის შექმნის შესახებ ქარელის რაიონში.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგკომიტეტის შექმნის შესახებ მცხეთის რაიონში.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წითელწყაროს ორგკომიტეტის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ბრძანებულება სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამმართველოს შექმნის შესახებ.

ბრძანებულება საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის გაყოფის შესახებ.

ბრძანებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს შექმნის შესახებ.

ბრძანებულება ა. მ. ნ. ა. გიორგაძის საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისრად დანიშნვისა და ა. მ. ნ. ა. წიკლაურის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისრად დანიშნვის შესახებ.

ბრძანებულება ა. მ. ნ. ა. გ. ბუჩნიკაშვილის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საშენ მასალათა სამმართველოს უფროსად დანიშნვის შესახებ.

IV საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შესამე სესიის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების სესიათა შესახებ.

საქართველოს სსრ-ში ახალი რაიონების შექმნის შესახებ.





III. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში

ბრძანებულება მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ათ წლისთავთან დაკავშირებით, ამავე თეატრის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ათ წლისთავთან დაკავშირებით, სასცენო მოღვაწეობის განსაკუთრებული წარმატებისათვის—

1. მიენიჭოს სახელწოდებანი:

ა) საქართველოს სსრ სახალხო მსახიობის სახელწოდება:

ლამაშიძე შალვა ქსენოფონტეს-ძეს, თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს, რესპუბლიკის დამსახურებულ მსახიობს;

ბ) საქართველოს სსრ დამსახურებული მსახიობის სახელწოდება: მსახიობებს:

- გომელაურს ზაქარია ნიკოლოზის-ძეს,
- გომიშვილს ვასილ დავითის-ძეს,
- თაყაიშვილს ცეცილია დიმიტრის ასულს,
- კობახიძეს პეტრე კალისტრატეს-ძეს,
- ჟორჯოლიანს ალექსანდრე მაქსიმეს-ძეს, ორდენოსანს,
- სარაულს მიხეილ სპირიდონის-ძეს,
- წუწუნავას ცეცილია რაჟდენის ასულს,
- ჯაფარიძეს შალვა სპირიდონის-ძეს;

2. დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით:

რეჟისორი ჟურული გიორგი ბაგრატიის-ძე მსახიობები:

აბაშიძე ანასტასია ვასილის ასული, რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი,

ანჯაფარიძე ვერა ივანეს ასული, რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი, გამრეკელი ბარბაღე ალექსანდრეს ასული,

გვინჭიძე ივანე სერგის-ძე,

დონაური ელენე იოსების ასული, რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი, ზაქარიაძე სერგი ალექსანდრეს-ძე,

კვანტალიანი აკაკი ლუკას-ძე,

კოსტავა გრიგოლ ქრისტეფორეს-ძე,

ლორთქიფანიძე მიხეილ ფარნაოზის-ძე,

შავეგულიძე გიორგი ვლადიმერის-ძე,

ჩარკვიანი თინათინ დავითის ასული,

ჩხეიძე დავით იოსების-ძე,





ქვეყნადე თამარ ირაკლის ასული, ორდენოსანი, რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი;

სცენის მომუშავეები:

კარდაშიანი იოსებ გრიგორის-ძე,

მარგიშვილი ილია ომანის-ძე,

სარქისოვი მარკოზ გევორჯის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი
1939 წ. 15 იანვარს.

ბრძანებულება თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანული დრამატიული თეატრისათვის მირზა ფატალი ახუნდოვის სახელის მიკუთვნების შესახებ.

დაკმაყოფილდეს თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანული დრამატიული თეატრის კოლექტივისა და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შუამდგომლობა და თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანულ დრამატიულ თეატრს მიეკუთვნოს მწერალ მირზა ფატალი ახუნდოვის სახელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.
1939 წ. 11 აპრილს.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მოწვევის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია მოწვეულ იქნას ამა წლის 20 ივლისს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.
1939 წ. 23 ივნისს.



ბრძანებულება ბათუმის ნავთსახდელი ქარხნისათვის ი. ბ. სტალინის სახელის მიკუთვნების შესახებ.

დაკმაყოფილდეს ბათუმის ნავთსახდელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შუამდგომლობა და მიეკუთვნოს ბათუმის ნავთსახდელ ქარხანას იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სახელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მაჩარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.
1939 წ. 23 ივნისს.

ბრძანებულება ტყვარჩელის რაიონული თბოელექტროსადგურისათვის ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

დაკმაყოფილდეს ტყვარჩელის რაიონული თბოელექტროსადგურის მუშა-მოსამსახურეთა შუამდგომლობა და მიეკუთვნოს თბოელექტროსადგურს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას სახელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მაჩარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.
1939 წ. 23 ივნისს.

ბრძანებულება წალენჯიხის რაიონის სოფელ ფუქისათვის მიქავას სახელის მიკუთვნების შესახებ.

დაკმაყოფილდეს წალენჯიხის რაიონის მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციისა და რაიონული ორგანიზაციების შუამდგომლობა და წალენჯიხის რაიონის სოფელ ფუქს ეწოდოს სამეგრელოს გლეხთა 1857 წლის აჯანყების მეთაურის უტუ მიქავას ხსოვნის უკვდავსაყოფად სოფელი მიქაეა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მაჩარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.
1939 წ. 23 ივნისს.

**ბრძანებულება ზესტაფონის რაიონში ალავერდის სასოფლო საბჭოს
შექმნის შესახებ.**

გამოეყოს ზესტაფონის რაიონის კლდეეთის სასოფლო საბჭოს სოფლები:
ალავერდი, თვინი, მწყერის-ციხე და შეიქმნას მათგან ალავერდის სასოფლო
საბჭო ცენტრით სოფელ ალავერდში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.
1939 წ. 23 ივნისს.

**ბრძანებულება ახალქალაქის რაიონში მერენიის სასოფლო საბჭოს
შექმნის შესახებ.**

გამოეყოს ახალქალაქის რაიონის ბარალეთის სასოფლო საბჭოს სოფლები:
მერენია, ხტილა (იხტილა), დიდი სამსარი და პატარა სამსარი და შეიქმნას
მათგან მერენიის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მერენიაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.
1939 წ. 23 ივნისს.

**ბრძანებულება დუშეთის რაიონში ქართლის სასოფლო საბჭოს
შექმნის შესახებ.**

გამოეყოს დუშეთის რაიონის ფასანაურის სასოფლო საბჭოს სოფლები: მუ-
გუდო, ქალის სოფელი, ჩიტაურები, ზენუბანი, სონდა, მენესო, დოლას-ქედი,
ბუჩანი, ჯულისი, ვაშლობი, საქერე და შეიქმნას მათგან ქართლის სასოფლო
საბჭო ცენტრით სოფელ ქართალში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.
1939 წ. 23 ივნისს.



**ბრძანებულება აჭარის ასსრ ხულოს რაიონში შუახევის სასოფლო საბჭოდან
სოფელ წანკალაურის გამოყოფისა და ბარათაულის სასოფლო საბჭოზე
მიკუთვნების შესახებ.**

დაკმაყოფილდეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შუამდგომლობა და გამოეყოს ხულოს რაიონში შუახევის სასოფლო საბჭოს სოფელი წანკალაური და მიეკუთვნოს ბარათაულის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.
1939 წ. 23 ივნისს.

**ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო
სიგელებით დაჯილდოების წესის შესახებ.**

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აჯილდოებს საპატიო სიგელებით მშრომელებს და კოლექტივებს (დაწესებულებები, საწარმოები, ორგანიზაციები) განსაკუთრებული დამსახურებისათვის რესპუბლიკის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში.

2. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოება ხდება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების, ცენტრალური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით. წარდგენა შეთანხმებულ უნდა იქნას სათანადო პროფესიული კავშირების რესპუბლიკურ ან საოლქო ორგანიზაციებთან კუთვნილებისამებრ.

3. დაჯილდოებულთ საპატიო სიგელებს აბარებს:

ა) ცალკეულ პირებს—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე;

ბ) კოლექტივებს—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით პრეზიდიუმის წევრი კოლექტივის მუშათა და მოსამსახურეთა სახეიმო კრებაზე.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით საპატიო სიგელებს ავტონომიური რესპუბლიკების ფარგლებში მყოფ პირებსა და კოლექტივებს აბარებს შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს



პრეზიდუმის სხდომაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმის წევრი კოლექტივის მუშათა და მოსამსახურეთა საზეიმო კრებაზე.

5. უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოებულებს. ეს სიგელები შეიძლება ჩამოართვას უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმმა სასამართლოს განაჩენის საფუძველზე ან დაჯილდოებულის მიერ ჩადენილი შემბლაღავი საქციელის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი
1939 წ. 23 ივნისს.

**ბრძანებულება ქ. თბილისში მოლოტოვის სახელობის რაიონის
შექმნის შესახებ.**

1. შეიქმნას ქ. თბილისში ლენინის, სტალინისა და 26 კომისიის სახელობის რაიონებიდან გამოყოფილ ტერიტორიაზე ახალი რაიონი, რომელსაც მიენიჭოს ვიანესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის სახელი.

2. მოლოტოვის სახელობის რაიონის საზღვრებად დაწესდეს: ჟორესის ქუჩა, საბჭოს ქუჩა რკინიგზის ხიდამდე, სუნჯის ხევი, მახათის მთის დასავლეთი ფერდობი ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრამდე, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ტერიტორიის საზღვარი რკინიგზის ლიანდაგამდე, ურიცკის ქუჩა, სამოქალაქო ქუჩა კალიაევის აღმართის კედლამდე, კალიაევის აღმართის კედელი კალიაევის ქუჩამდე, ღვინის აღმართი, სახვაქრობის ქუჩა. მეტეხის ხიდამდე, მდინარე მტკვარი ელბაქიძის სახელობის ხიდამდე. კ. მარქსის სახელობის დიდი ხიდი მიეკუთვნოს ახალი რაიონის ტერიტორიას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.
1939 წ. 11 ივლისს.

**ბრძანებულება ქ. თბილისში ბერიას სახელობის რაიონის
შექმის შესახებ.**

1. შეიქმნას ქ. თბილისში კიროვისა და ორჯონიკიძის სახელობის რაიონებიდან გამოყოფილ ტერიტორიაზე ახალი რაიონი, რომელსაც მიენიჭოს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას სახელი.

2. ბერიას სახელობის რაიონის საზღვრებად დაწესდეს: მოსკოვის ქუჩა, ელბაქიძის დაღმართი, მდინარე მტკვარი ქ. მარქსის სახელობის ხიდამდე, ხიდის ქუჩა, ქ. მარქსის სახელობის მცირე ხიდი, ვოლოდარსკის ქუჩა, პრესის ქუჩა რუსის ქუჩამდე, რუსის ქუჩა, პუშკინის ქუჩა, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ქუჩა, ენგელსის ქუჩა ბოტანიკური ბაღის გვირაბამდე, კომკავშირელთა ხეივანისა და სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ჩათვლით, ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.

1939 წ. 11 ივლისს.

**ბრძანებულება ქუთაისის რაიონიდან ქალაქ ქუთაისის
გამოყოფის შესახებ.**

გამოეყოს ქალაქი ქუთაისი ქუთაისის რაიონს, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრატიულ-ტერიტორიული ერთეული და მიეკუთვნოს იმ ქალაქებს, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.

1939 წ. 11 ივლისს.



**ბრძანებულება ქუთაისის რაიონის ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონ-
ბად გაყოფის შესახებ.**

1. გაიყოს ქუთაისის რაიონი ორ რაიონად: ქუთაისისა—ცენტრით ქალაქ ქუთაისში და წყალტუბოსი—ცენტრით დაბა წყალტუბოში.

2. მიეკუთვნოს ქუთაისის რაიონს ბარდუბნის, გეგუთის, გოდოგნის, დღნო-რისის, კვახჭირის, მეჭვენის, ნაგარევის, ნამახვანის, ნახშირღელის, ოფურ-ჩხეთის, ოფშვიეთის, პატრიკეთის, რიონის, საყულიის, საჩხურის, ტყაჩორის, ქვემო-სიმონეთის, ქვიტირისა და ჭოგნარის სასოფლო საბჭოები.

3. მიეკუთვნოს წყალტუბოს რაიონს წყალტუბოს სადაბო საბჭო, გვიშტი-ბის, გუმბრის, მალაკის, მუხიანის, ფარცხანაყანევის, ქეილიშორის, ცხუნკური-სა და წყალტუბოს სასოფლო საბჭოები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.

1939 წ. 11 ივლისს.

**ბრძანებულება ჭიათურის რაიონის ჭიათურისა და საჩხერის რაიონებად-
გაყოფის შესახებ.**

1. გაიყოს ჭიათურის რაიონი ორ რაიონად: ჭიათურისა—ცენტრით ქალაქ ჭიათურაში და საჩხერისა—ცენტრით დაბა საჩხერეში.

2. მიეკუთვნოს ჭიათურის რაიონს ქალაქი ჭიათურა და ვაჭევის, ითხვისის, კაცხის, მერევის, პერევის, რგანის, სკინდორის, სარქველეთ-უბნის, სვერის, ქვა-ციხის, ჩხირაულის, მანდაეთის, გეზრულის, წირქვალის, ზოდის, ხრეთისა და ჭალოგნის სასოფლო საბჭოები.

3. მიეკუთვნოს საჩხერის რაიონს არგვეთის, ბერეთისის, გორისის, კორ-ბოულის, ლიჩის, პერევისის, საირხის, სარეკის, საჩხერის, ქორეთის, ჩიხის, ჩონთოს, ცხამის, ცხომარეთის, ქალის, ხვანისა და ჯალაღურთის სასოფლო საბჭოები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.

1939 წ. 11 ივლისს.

ბრძანებულება ხაშურის რაიონის ხაშურისა და ქარელის რაიონებად გაყოფის შესახებ.

1. გაიყოს ხაშურის რაიონი ორ რაიონად: ხაშურისა — ცენტრით ქალაქ ხაშურში და ქარელისა — ცენტრით სოფელ ქარელში.

2. მიეკუთვნოს ხაშურის რაიონს ქალაქი ხაშური და სურამის, ოსიაურის, ტეზერის, ცხრაშუხის, ლუდის, ღარათის, ხცისის, წრომის, წადღლის, ფლევის, გომის, ალის, ვაყის, ქვიშხეთისა და ცოცხნარის სასოფლო საბჭოები.

3. მიეკუთვნოს ქარელის რაიონს დაბა აგარა და აბანოს, აბისის, ავლევის, ახალ-სოფლის, ბრეთის, გვერძინეთის, დირბის, ზღუდერის, ზემო-ხვედურეთის, იმერხევის, კეხიჯვრის, მოხისის, მუხილეთის, ტახტისძირის, ქარელისა და ქვენატკოცის სასოფლო საბჭოები და გორის რაიონიდან რუისისა და ურბნისის სასოფლო საბჭოები და სკრის სასოფლო საბჭოს სოფლები ქვენა-ფლავი და დვლევი, რომლებიც მიეკუთვნოს ზემო-ხვედურეთის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.

1939 წ. 11 ივლისი.

ბრძანებულება თბილისის რაიონის თბილისისა და მცხეთის რაიონებად გაყოფის შესახებ

1. გაიყოს თბილისის რაიონი ორ რაიონად: თბილისისა — ცენტრით ქალაქ თბილისში და მცხეთისა — ცენტრით დაბა მცხეთაში.

2. მიეკუთვნოს თბილისის რაიონს ავჭალის, დიღმის, გლდანის, ცხვაროქამის, კოჯრის, სოღანლუღის, თელეთის, კუმისის, წყნეთის, ლისის, მარტყოფის, ახალსოფლის, ნორიოსი და დიდ ლილოს სასოფლო საბჭოები.

3. მიეკუთვნოს მცხეთის რაიონს გალაგნის, მუხრანის, მცხეთის, ნატახტარის, ნიჩბისის, საგურამოს, ქსოვრისის, წეროვნის, წილკნისა და ძეგვის სასოფლო საბჭოები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.

1939 წ. 11 ივლისი.



**ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგ-
კომიტეტის შექმნის შესახებ. ქ. თბილისის მოლოტოვის
სახელობის რაიონში.**

ქ. თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების
საბჭოს არჩევამდე შეიქმნას ამ რაიონში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის ორგკომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ორგკომიტეტის თავმჯდომარე — ლუარსაბოვი ივანე დავითის-ძე, ორგკომი-
ტეტის თავმჯდომარის მოადგილე — საყვარელიძე ბაბილინა სიმონის ასული, ორგ-
კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი — სურგულაძე გრიგოლ კონსტანტინეს-ძე
და ორგკომიტეტის წევრები: ვარსევანიძე ვასილი აბრამის-ძე, გოგიშვილი პეტრე
იაკობის-ძე, სანიკიძე მიხეილ ტარასის-სე, კამალოვი ლეონ პავლეს-ძე, კვერნაძე
ალექსანდრე ვასილის-ძე და მანჯგალაძე ალექსანდრე რაქდინის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1939 წ. 11 ივლისს.

**ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგ-
კომიტეტის შექმნის შესახებ ქ. თბილისის ბერძან სახელობის
რაიონში**

ქ. თბილისის ბერძან სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების სა-
ბჭოს არჩევამდე შეიქმნას ამ რაიონში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის ორგკომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ორგკომიტეტის თავმჯდომარე — ამირიძე ნიკოლოზ მიხეილის-ძე, ორგკომი-
ტეტის თავმჯდომარის მოადგილე — ბუჯიაშვილი ნიკოლოზ დიმიტრის-ძე, ორგ-
კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი — გორდენიანი შალვა იოსების-ძე და ორგ-
კომიტეტის წევრები: გოგოლაშვილი კონსტანტინე ფილიპეს-ძე, ბარკალაია ნოე
კონსტანტინეს-ძე, ძიძიგური ლავრენტი ალექსის-ძე, ჩარკვიანი ნინა ივანეს ასუ-
ლი, ტატიშვილი გიორგი ალექსის-ძე და ყრუაშვილი სერგი მაკარის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1939 წ. 11 ივლისს.



**ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგ-
კომიტეტის შექმნის შესახებ ქუთაისის რაიონში.**

ქუთაისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს არჩევამდე შეიქმნას ქუთაისის რაიონში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგკომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ორგკომიტეტის თავმჯდომარე — მაღლაფერიძე ლავრენტი რაქდენის-ძე, ორგკომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი — ჯაში ზაქარია ბესარიონის-ძე და ორგკომიტეტის წევრები: გაბრიადე ლევან ნიკოლოზის-ძე, თურქაძე მიხეილ ტარასის-ძე, გიორგაძე დავით ამბაკოს-ძე, ლეშკაშელი ბიქტორ ტარასის-ძე, ცანავა მიხეილ ვასილის-ძე, ბერაძე გიორგი ილარიონის-ძე და ცირეკიძე ლავროსი გიორგის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მანარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.
1939 წ. 11 ივლისს.

**ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგ-
კომიტეტის შექმნის შესახებ წყალტუბოს რაიონში.**

წყალტუბოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს არჩევამდე წყალტუბოს რაიონში შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგკომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ორგკომიტეტის თავმჯდომარე — ნიქარაძე ლონგინოზ იპოლიტეს-ძე, ორგკომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი — აშოთია ნოე პლატონის-ძე და ორგკომიტეტის წევრები: ტოვონიძე ვარლამ იაკობის-ძე, ქაშიბაძე გრიგოლ იოსეს-ძე, ზამბახიძე ზაქარია ირაკლის-ძე, კიკატუნიძე ვლადიმერ ლუკას-ძე, ყანჩაველი ბიძინა ზაქარიას-ძე, ჩიქოვანი ვარლენ ელიზბარის-ძე და სილაგაძე სერგი ათანასეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მანარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.
1939 წ. 11 ივლისს.



**ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგ-
კომიტეტის შექმნის შესახებ საჩხერის რაიონში**

საჩხერის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს არჩევამდე შეიქმნას საჩხერის რაიონში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგკომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ორგკომიტეტის თავმჯდომარე—მოდებაძე გერვასი სიმონის-ძე, ორგკომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი—მარუაშვილი გრიგოლ ივანეს-ძე და ორგკომიტეტის წევრები: ბიწაძე გერვასი იოათამის-ძე, ლომიძე ვენერა ივანეს ასული, გველესიანი ივანე სამსონის-ძე, გოგოლაძე ბიკენტი ვლადიმერის-ძე, ქავთარაძე ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე და ციხისელი ერემია სოლომონის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ევნატაშვილი

თბილისი,
1939 წ. 11 ივლისს.

**ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგ-
კომიტეტის შექმნის შესახებ ქარელის რაიონში**

ქარელის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს არჩევამდე შეიქმნას ქარელის რაიონში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგკომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ორგკომიტეტის თავმჯდომარე—ლაცაბიძე ვლადიმერ ილიას-ძე, ორგკომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი—ორჯონიკიძე დავით არჩილის-ძე და ორგკომიტეტის წევრები: იაკობიძე გიორგი ვასილის-ძე, ტურსიაშვილი ანდრია იოსების-ძე, ედილაშვილი ვლადიმერ ლაზარეს-ძე და ტაბიძე აკაკი ირაკლის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ევნატაშვილი

თბილისი,
1939 წ. 11 ივლისს.



**ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგ-
კომიტეტის შექმნის შესახებ მცხეთის რაიონში**

მცხეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს არჩევამდე შეიქმნას მცხეთის რაიონში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგკომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ორგკომიტეტის თავმჯდომარე — მელიქიშვილი ნიკოლოზ სტეფანეს-ძე, ორგკომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი — ჩუგუაშვილი პეტრე გიორგის-ძე და ორგკომიტეტის წევრები: ცხოვრებაშვილი გიორგი გედევანის-ძე, ბეგაძე კონსტანტინე ბესარიონის-ძე, ლორია შალვა ივანეს-ძე, რაზმაძე ილიკო მიხეილის-ძე, პაპიაშვილი ვლადიმერ გიორგის-ძე, ჭაჯაია კონსტანტინე იულონის-ძე და მურმანიშვილი ნიკოლოზ გიორგის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი,
1939 წ. 11 ივლისი.

**ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წითელ-
წყაროს ორგკომიტეტის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წითელ-წყაროს ორგკომიტეტის (ორგბიუროს) წევრების: ქ. ა. ბერიშვილის სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და რ. მ. ნადირაშვილის ორგკომიტეტიდან გამოყვანის გამო შეყვანილ იქნან წითელ-წყაროს ორგკომიტეტის შემადგენლობაში ცქიტიშვილი შალვა არჩილის-ძე და ჯანიკაშვილი დიმიტრი კონსტანტინეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი,
1939 წ. 11 ივლისი.



შრძანებულება სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამმართველოს შექმნის შესახებ

შეიქმნას სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამმართველო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მანარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.
1939 წ. 11 ივლისს.

შრძანებულება საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის გაყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი გაიყოს ორ სახალხო კომისარიატად:

1. საქართველოს სსრ კვების სახალხო კომისარიატად, რომელშიაც შევიდეს:
 - ა) პურის საცხობი, მაკარონისა და საკანდიტრო მრეწველობის საწარმოები;
 - ბ) ღვინის მრეწველობის საწარმოები და საბჭოთა მეურნეობები;
 - გ) ლუდისა და უალკოჰოლო მრეწველობის საწარმოები;
 - დ) ჩაის მრეწველობის საწარმოები და საბჭოთა მეურნეობები;
 - ე) თამბაქოს მრეწველობის საწარმოები;
 - ვ) ზეთსახდელი და საპნის მრეწველობის საწარმოები;
 - ზ) მრეწველობის სხვა დარგთა საწარმოები, გარდა თევზის მრეწველობისა,

რომლებიც ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატში არ შევიდენ;

2. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატად, რომელშიაც შევიდეს:
 - ა) ხორცეულის კომბინატები, საქებვე და სასაკლაო საწარმოები და ხორცის მრეწველობის საბჭოთა მეურნეობები;
 - ბ) რძის, კარაქისა და ყველის მრეწველობის საწარმოები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მანარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.
1939 წ. 17 ივლისს.



ბრძანებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს შექმნის შესახებ.

1. შეიქმნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველო.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაზღვროს საშენ მასალათა მრეწველობის იმ საწარმოთა ნუსხა, რომლებიც უნდა გადაეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი,
1939 წ. 17 ივლისი.

ბრძანებულება ამხ. ნ. ა. გიორგაძის საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისრად დანიშვნისა და ამხ. ი. ა. წიკლაურის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ.

1. დაინიშნოს ამხ. ნესტორ ასალოს-ძე გიორგაძე საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისრად.

2. დაინიშნოს ამხ. ილია ანდრიას-ძე წიკლაური საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი,
1939 წ. 17 ივლისი.

ბრძანებულება ამხ. ა. ვ. ბუხნიკაშვილის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე ვარდენის-ძე ბუხნიკაშვილი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი,
1939 წ. 17 ივლისი.

IV. საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის შესახებ.

ამა წლის 25-დან 31 მაისამდე მოსკოვში მიმდინარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

25 მაისს დღისით შესდგა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს ცალ-ცალკე სხდომები. ამ სხდომებზე მიღებულ იქნა სესიის შემდეგი დღის წესრიგი:

1) სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;

2) სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ;

3) მოკავშირე რესპუბლიკებში საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატების შექმნის შესახებ;

4) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია მეორე სესიიდან მესამე სესიამდე განვილი პერიოდში და რომლებიც უნდა დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ.

25 მაისის საღამოს შესდგა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. ამ სხდომაზე მოსმენილ იქნა სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარის ამხ. ა. გ. ზვერევის მოხსენება „სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე“.

26 მაისს შესდგა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს ცალ-ცალკე სხდომები, სადაც მოსმენილ იქნა პალატების საბიუჯეტო კომისიების თანამოსხენებანი: კავშირის საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნა დეპუტატ კ. ი. ნიკოლაევის თანამოსხენება, ხოლო ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე—საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. ს. ხოხლოვის თანამოსხენება.

26, 27 და 28 მაისს კავშირის საბჭოს სხდომებზე და 26, 28 და 29 მაისს ეროვნებათა საბჭოს სხდომებზე გაიმართა კამათი „სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე“.

28 და 29 მაისს პალატების ცალ-ცალკე სხდომებზე მომხსენებლის — სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარის ამხ. ა. გ. ზვერევისა და საბიუჯეტო კომისიების თანამომხსენებლების საბოლოო სიტყვების შემდეგ დამტკიცდა სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი.

29 მაისს საღამოზე პალატების გაერთიანებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებისა: ამხ. ა. ი. მიქოიანის — „მშენებლობის საერთო—საკავშირო სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ“ და ამხ. ნ. ა. ბულგანინისა — „მოკავშირე რესპუბლიკებში საავტომობილო ტრანსპორტის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების შექმნის შესახებ“.



მოსხენებების გარშემო კამათის შემდეგ პალატების ცალ-ცალკე კენჭის ყრით უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი ორსავე საკითხზე.

დეპუტატების ჯგუფის წინადადებით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება—სესიის დღის წესრიგს დაემატოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ინფორმაცია სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

31 მაისს შესდგა პალატების გაერთიანებული სხდომა, სადაც მოსმენილი იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ა. თ. გორკინის მოხსენება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია მეორე სესიიდან მესამე სესიამდე განვიღო პერიოდში და რომლებიც უნდა დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ“.

პალატების ცალ-ცალკე კენჭის ყრით უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სსრ კავშირის კონსტიტუციის 22, 23, 77, 78 და 83 მუხლების ცვლილებანი და დამატებანი, ხოლო ორივე პალატის ერთდროისი კენჭის ყრით—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი სახალხო კომისარიატისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის შობადგილეთა დანიშვნის შესახებ.

ამხ. ა. ი. ვიშინსკის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის შობადგილედ დანიშვნასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოების დავალებით დეპუტატ გორკინის მიერ შემოტანილი წინადადება ამხ. ა. ი. ვიშინსკის სსრ კავშირის პროკურორის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა და სსრ კავშირის პროკურორად რუსეთის სუსრ პროკურორის ამხ. მ. პანკრატევის დანიშვნის შესახებ.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარად დანიშვნასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება—ამხანაგ ლ. პ. ბერია განთავისუფლებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ გაანთავისუფლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის შობადგილების მოვალეობისაგან: ი. ს. ხოხლოვი—მისი „ცენტროსოიუზის“ გამგეობის თავმჯდომარედ არჩევის გამო, და ამხ. გ. ი. პეტროვსკი—მისი უკრაინის სსრ გარეთ სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით, აგრეთვე ამხ. ნ. უმურზაკოვი—მისი ყაზახეთის სსრ გარეთ სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის შობადგილებად ერთხმად აირჩია დეპუტატები ა. ე. ბადაევი, დ. ს. კოროტჩენკო და ა. კაზაკაევი.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „მუშურ-გლებური სამხედრო-სახლვაო ფლოტიში ნამდვილი სამსახურის ვადების შესახებ.“



შემდეგ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის ინფორმაცია სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ და ერთხმად მიიღო შემდეგი დადგენილება:

„მოისმინა რა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ინფორმაცია სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო საესებით და მთლიანად იწონებს მთავრობის პოლიტიკას“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ ამით დაამთავრა თავისი მუშაობა.

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების სესიათა შესახებ.

1939 წლის ივნისის და ივლისის თვეებში შესდგა რიგი მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების სესიები.

14-დან 21 ივნისამდე ქ. ალმა-ატაში შესდგა ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია, 20-დან 25 ივნისამდე ქ. ერევანში—სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს სესია, 25 ივნისიდან 1-ლ ივლისამდე ქ. სტალინბადში ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია, 7-დან 14 ივლისამდე ქ. ბაქოში—აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია.

პრესის ცნობებით, სესიათა მიერ განხილულია შემდეგი საკითხები:

რესპუბლიკის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება;

რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობისა და სახალხო მსაჯულთა არჩევნები;

რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის დამატებისა და ცვლილების შესახებ;

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ პირველსა და მეორე სესიებს შორის მიღებულ ბრძანებულებათა დამტკიცება.

ყველა ამ საკითხის ირგვლივ სესიათა მიერ მიღებულია სათანადო კანონები.

ამ საკითხების გარდა, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ განხილულია საკითხი მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოებთან ოუსტიციის სახალხო კომისარიატის სამმართველოების შექმნის შესახებ, აგრეთვე მოსმენილია ყაზახეთის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოხსენება „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განთავსებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების გარშემო, სომხეთის სსრ და ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოების.



სესიებმა მიიღეს კანონები საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატების შექმნის შესახებ, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო აგრეთვე კანონი ხორციისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ, ხოლო აზერბაიჯანის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო დებულება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისა და კანონი აზერბაიჯანული დამწერლობის ახალ აღფაბეტზე გადაყვანის შესახებ.

საქართველოს სსრ ახალი რაიონების შექმნის შესახებ.

საქ. კ. პ. (ბ) მე-XVIII ყრილობაზე ამხანაგი სტალინი თავის მოხსენებაში ამბობდა: „პარტიისა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების განმტკიცება საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა პირველ რიგში ორი ხაზით: პარტიის შემადგენლობის რეგულირების, არა საიმედოთა განდევნისა და საუკეთესოთა შერჩევის ხაზით, და ორგანიზაციების დაწვრილერთეულების, მათი სიდიდის შემცირებისა და ძირეულ, ოპერატიულ, კონკრეტულ სამუშაოსთან ხელმძღვანელი ორგანოების მიახლოების ხაზით“.

რაიონების დაწვრილერთეულება და მათი მოცულობის შემცირება აადვილებს ხელმძღვანელობას, ხდის მას კონკრეტულად, ცოცხლად, იძლევა ახალი მუშაკების ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურების შესაძლებლობას.

ამ ნომერში გამოქვეყნებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი ქ. თბილისში ვ. მ. მოლოტოვის და ლ. პ. ბერიას სახელობის ახალი რაიონების შექმნის შესახებ, აგრეთვე რესპუბლიკის რიგ რაიონების დაყოფა გამომდინარეობენ მთლიანად საქ. კ. პ. (ბ) მე-XVIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან და ამხანაგ სტალინის მითითებებიდან.

ორ სტალინურ ხუთწლედში ქ. თბილისი იქცა საბჭოთა საქართველოს აყვავებულ დედაქალაქად, მასში შეიქმნა ახალი სამრეწველო კერები: ავტოსარემონტო ქარხანა, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა და აღმოცენდა მრეწველობის ახალი დარგები. ამჟამად ქ. თბილისში ითვლება 225 სამრეწველო საწარმო, ირიცხება 2.745 საბჭოთა და სავაჭრო ორგანიზაცია, 172 სასწავლებელი და სხვა. ორ სტალინურ ხუთწლედში გიგანტურად გაიზარდა მოსახლეობა, როგორც ქ. თბილისში, ისე რაიონებში. მარტო ქ. თბილისში ითვლება 519.175 მცხოვრები და მოსახლეობის რაოდენობის მხრივ სსრ კავშირის ქალაქთა შორის მეცხრე ადგილას არის.

გიგანტურად გაიზარდა ქუთაისის, ჭიათურის, ხაშურისა და თბილისის რაიონების სამეურნეო და კულტურული ძალოვნება, სრულდიალ შეიცვალა ჩვენი ქალაქებისა და სოფლების სახე.

წინასწარი ცნობებით სასოფლო მოსახლეობა ითვლება: ქუთაისის რაიონში—152.041 სული, ჭიათურისა—97.197 სული, ხაშურისა—90.048 სული და

თბილისის სასოფლო რაიონში—71.674 სული. ქუთაისის რაიონში—27 სასოფლო საბჭოა, ქიათურისა—34, ხაშურისა—32, ხოლო თბილისის რაიონში—24. ქუთაისის რაიონში 78 კოლმეურნობაა, ქიათურისა—105, ხაშურისა—199, ხოლო თბილისის რაიონში—114.

განვლილი დროის მანძილზე ყოველი რაიონის მეურნეობა გახდა უფრო მრავალმხრივი და მრავალფეროვანი. მესამე სტალინურ ხუთწლედში ჩვენი ქვეყანა უამრავ სახსარს ათავსებს ახალ სამრეწველო და კულტურულ წამოწყებებში. მარტო თბილისის ამხანაგ სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონთა შემკეთებელი ქარხნის რეკონსტრუქციისათვის დაიხარჯება 30 მილიონ მანეთამდე. რაიონების შემდგომი ზრდა, მოსახლეობის აღმავალი პოლიტიკური და კულტურული დონე და მესამე სტალინური ხუთწლედის გრანდიოზული პროგრამით დასახული ახალი ამოცანები ართულებენ ხელმძღვანელობას, რომელიც უფრო ცოცხალი, კონკრეტული და ოპერატიული უნდა იყოს.

ძველი რაიონების დაწვრილერთეულება და ახლების შექმნა დაუახლოვებს ხელმძღვანელობას სოფლის საბჭოებს, სოფლებს, დაბებსა და კოლმეურნეობებს, უზრუნველყოფს ძირეული რგოლების მიმართ ოპერატიულ ხელმძღვანელობას, დაუახლოვებს ხელმძღვანელობას მასებს და მისცემს რაიონულ ორგანიზაციებს შესაძლებლობას ჩასწვდნენ სასოფლო მუშაობის ყველა დარგს.

საქართველოს რაიონულმა ორგანიზაციებმა ამხანაგ ლ. პ. ბერიას ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა ჩაატარეს ახალი კადრების შერჩევის, დაწინაურებისა და აღზრდისათვის.

ახალი რაიონების შექმნა მოგვცემს ახალ შესაძლებლობას უფრო მეტი შევარჩიოთ, გავზარდოთ და აღვზარდოთ ახალი ხელმძღვანელი კადრები, მოგვცემს შესაძლებლობას კიდევ უფრო კარგად შევასრულოთ ამხანაგ სტალინის მითითება კადრების შერჩევის, აღზრდისა და დაწინაურების საქმეში.

ახალ საქალაქო, დაწვრილერთეულებულ და ახლად შექმნილ სასოფლო რაიონებში შევლენ:

1. ქ. თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონში—92,392 მოსახლე, 46 სამრეწველო საწარმო, 898 საბჭოთა და სავაჭრო ორგანიზაცია და 26 სასწავლებელი;

2. ქ. თბილისის ბერიას სახელობის რაიონში—61.583 მოსახლე, 20 სამრეწველო საწარმო, 285 საბჭოთა და სავაჭრო ორგანიზაცია და 24 სასწავლებელი;

3. ქუთაისის რაიონში—19 სასოფლო საბჭო, 39.493 მოსახლე, 46 კოლმეურნეობა, 17.967 ჰექტარი სათესი ფართობი;

4. წყალტუბოს რაიონში—8 სასოფლო საბჭო, 31.069 მოსახლე, 32 კოლმეურნეობა, 9.010 ჰექტარი სათესი ფართობი;

5. ქიათურის რაიონში—17 სასოფლო საბჭო, 53.886 მოსახლე, 54 კოლმეურნეობა, 8.676 ჰექტარი სათესი ფართობი;



- 6. საჩხერის რაიონში—17 სასოფლო საბჭო, 43.311 მოსახლე, 51 კოლმეურნეობა, 11.939 ჰექტარი სათესი ფართობი;
- 7. ხაშურის რაიონში—15 სასოფლო საბჭო, 55,219 მოსახლე, 104 კოლმეურნეობა, 17.647 ჰექტარი სათესი ფართობი;
- 8. ქარელის რაიონში—19 სასოფლო საბჭო, 40.681 მოსახლე, 95 კოლმეურნეობა, 28.461 ჰექტარი სათესი ფართობი;
- 9. თბილისის სასოფლო რაიონში—14 სასოფლო საბჭო, 43.375 მოსახლე, 62 კოლმეურნეობა, 28.834 ჰექტარი სათესი ფართობი;
- 10. მცხეთის რაიონში—10 სასოფლო საბჭო, 28.299 მოსახლე, 52 კოლმეურნეობა, 11.565 ჰექტარი სათესი ფართობი.

გარდა ამისა პრეზიდენტმა გამოჰყო და მიაკუთვნა ქალაქი ქუთაისი იმ ქალაქებს, რომლებიც რაიონის შემადგენლობაში არ შედიან და უშუალოდ ემორჩილებიან მმართველობის რესპუბლიკურ ორგანოებს.

საკრედიტო კოლეგია

გამომცემელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ., მთავრობის სახლი.



39 255



შანი 40 კაპ.

საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს გამ-ბა „კომუნისტის“ სტამბა, თბილისი, ლენინის ქ., № 28.
შექ. № 915 მთავლიტის რწმუნებ. № მ-454 ტირაჟი 4500